პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 სამშაბათი 25 იანვარი № 20 (16757) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

უნდა განმტკიცდეს სახელმწიფო დისციპლინა, კადრები აღიზარდოს იმ სულისკვეთებით, რომ სახალხო-სამეურნეო გეგმებს ყველა მაჩვენებლით უთუოდ ასრულებდეს ყველა უბანი, ყველა კოლექტივი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისის დადგენილებიდან.

მეჯი შემართებით, პასუხისმგებლობით!

ესრულდა ერთი წელი, რაც მუშაობა დაამთავრა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ. ეს ფორუმი განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის ცხოვრებაში. იგი გაიმართა ჩვენი შრომის, შენებისა და შემოქმედების იმ პასუხსაგებ ეტაპზე, როცა ბევრი რამ გაკეთდა სუბიექტივიზმის და ვოლუნტარიზმის ღრუბლებით დაძძიმებული საზოგადოებრივი კლიმატის, საზოგადოებრივი ატმოსფეროს გასაჯანსაღებლად, როცა წარსული წლების ეკონომიური ჩამორჩენილობიდან რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ბევრმა დარგმა წამოიწია, გადაიფარა დანაკლისიც და წარმატებით დამთავრდა მეცხრე ხუთწლედი. ერთი სიტყვით, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შესრულებისათვის ბრძოლაში დიდი და კეთილი კვალი გაიკვლო. სწორედ ეს მუშაობა, ეს კვალი მოიწონა ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შარშანდელი წლის ივნისის დადგენილებაში.

ამასთან ერთად, საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის, მისი გადაწყვეტილებების განსაკუთრებული მნიშვნელობა ის არის, რომ მასში, როგორც ერთ დიდ ფოკუსში, თავი მოიყარა უკანასკნელი წლების დიდმა გამოცდილებამ, რაც დაგროვდა ბოლო ხანს გამართულ პლენუმებზე, პარტიული აქტივის კრებასა და სხვა პარტიულ ფორუმებზე.

დიახ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXV ყრილობის გადაწყვეტილებები რესპუბლიკის კომუნისტთა საერთო ძალლონით, მათი კოლექტიური აზრით, კოლექტიური გამოცდილებით შემუშავებული საბრძოლო პროგრამაა, რომელიც პირდაპირ შეეხებიდა ჩვენი პარტიის, ჩვენი ქვეყნის სადღეისო სასიცოცხლო ამოცანებს. მისი თვითეული მუხლი, თვითეული სტრიქონი, რომლებიც დიდი მდინარის შენაკადებს შეიძლება შეეადაროთ, საქართველოს კომუნისტებს, ყველა მშრომელს კონკრეტულად და ნათლად უჩვენებს, თუ ვინ რა უნდა გააკეთოს მეათე ხუთწლედის — ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედის დავალებათა, სკკპ XXV ყრილობის ბრძნულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესასრულებლად.

რა თქმა უნდა, ეს ერთი წელი — დრო, რომელიც საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის შემდეგ გავიარეთ, ჯერე რადენ. ამ ბევრი რამ გამოაჩინა, გამოკვეთა, გამოაქთქთა იმ კონტურებიდან, რომლებიც დასახული გვქონდა. პირველივე შედეგები, შარშანდელი შრომით რომ მოვიოვეთ, კიდევ უფრო ნათლად ადასტურებს ყრილობაზე ხატოვნად ნათქვამ სიტყვებს, ჩვენი ყრილობის მწვერვალებიდან ხვალინდელი საქართველოს, დიდებული, მომხიბლავი პანორამა იშლებაო.

სწორედ ამ სიტყვების ღრმა შინაარსს გამოხატავდა ამ რამდენიმე დღის წინათ გამართული საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაც, რომელმაც ჩაიარა დევიზით: „ვიმუშაოთ უკეთ, ავამაღლოთ ეფექტიანობა და ხარისხი!“ ეს ოთხი კრებაზე ხაზგასმით ითქვა, შარშანდელი წელი — მეათე ხუთწლედის პირველი წელი — ბევრად იყო ღირსშესანიშნავი რესპუბლიკის შრომმელებისათვის, მთელი ჩვენი საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრებისათვის. იგი ხარისხისა და ეფექტიანობისათვის ბრძოლაში ძირითად მიმართულებათა განმსაზღვრელი წელი იყო.

თუ ერთხელ კიდევ გონების თვალით გადავხედავთ ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების ამ ბოლო ერთ წელიწადს, თუ კარგად ჩავუკვირდებით პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მიერ შეჯამეულ ციფრებსა და ფაქტებს, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ სიძნელეები დიდი იყო, მაგრამ შედეგები მაინც თვალსაჩინოა და იმედის მომცემი, რომ რესპუბლიკის მშრომელებმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით კარგი პრაქტიკული ნაბიჯები გადადგეს იმ კონკრეტულ ამოცანათა გადაწყვეტის გზაზე, რომლებიც დასახულია სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებებში, საქართველოს კომპარტიის ბოლო წლების საქმიანობის შესახებ მიღებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე მიღებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებასა და ამ პლენუმზე გამართულ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში, აგრეთვე სხვა დიდმნიშვნელოვან პარტიულ დოკუმენტებში.

უაღრესად საქმიანი განწყობილება, ნამდვილი ბოლშევიკური ბრძოლისუნარიანობა, ნამდვილი ინიციატივა და პრინციპული მომთხოვნელობის სულისკვეთება, რაც ყრილობის დამთავრებისთანავე სწრაფად გადაეცა პარტიულ ორგანიზაციებსა და შრომითს კოლექტივებს, გახდა მთელი ჩვენი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის საფუძველი. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებისათვის, კულტურის დონის ამაღლებისათვის ზრუნვასთან ერთად კვლავ წინა პლანზე იყო ღირსშესანიშნავი რესპუბლიკის ეკონომიკის ეფექტიანობისა და ხარისხის, ეკონომიერების უმკაცრესი დაცვისათვის, ეკონომიკური, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცებისათვის, ყოველგვარი ნეგატიური ფენომენების აღმოფხვრისათვის ბრძოლა. ყველა საქმეში, ყველა დარგში, ყველა უბანზე რეზერვები დაუცხრომელი ძიება — აი რა იყო და ახლაც უნდა იყოს ჩვენი მოქმედების მთავარი ორიენტირი.

სწორედ ამ მუშაობის შედეგია, რომ საქართველოს მრეწველობამ გეგმა შარშან ვადამდე, 24 დეკემბერს შეასრულა და 6 მილიარდ 398 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვა, გეგმით გათვალისწინებულზე თითქმის 320 მილიონი მანეთით მეტი. დავალების გადამეტებით წარმოებულია თუნაგი, ფოლადი, ნაგლინი, ზავი ლითონები, მილები, ავთომობი, ქვანახშირი, კოქსი, მანგანუმის მადანი, ალუმინი, სატვირთო ავტომობილები და სხვა ძვირფასი სამრეწველო პროდუქცია. სოციალისტური შეჯიბრებაში დაწინაურდნენ რუსთავის მეტალურგიული, თბილისის დიმიტროვის სახელობის საბავშვო, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნების, საწარმოო გაერთიანება „საქქვანხშირის“ და სხვა საწარმოთა კოლექტივები.

დიდი სიძნელეები გადალახეს და ვუკაცურად დასაბარჯნენ ჩვენი სოფლის მეურნეობის მშრომელები. შესრულდა ჩაის ფოთლის, ხილის, ბოსტნეულის, ღორცის, რძის, კვერცხისა და სხვა პროდუქტების დამზადების გეგმები და ნაკლები სოციალისტური ვალდებულებები. სასიხარულო ნაბიჯები გადადგა სოფლის მეურნეობაში სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განსახორციელებლად.

ბევრი კონკრეტული მაგალითის მოყვანა შეიძლება იმ დადებითი ძვრების ნათელსაყოფად, რომელიც შესამჩნევია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, კაპიტალურ მშენებლობაში, ჩვენი მრავალფეროვანი ცხოვრების ყველა სხვა დიდმნიშვნელოვან უბანზე.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ და მის შემდეგ განვლილმა დრომ კიდევ უფრო გამოაწრთო იდეურად და განმტკიცა ორგანიზაციულად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, დაბეჯითებით ცდილობდნენ რა მუშაობაში ლენინური სტილის დანერგვას, პოლიტიკური ხელმძღვანელობის ახალი გამოცდილებით გამდიდრდნენ, სულ უფრო ღრმად, კომპეტენტურად სწვდებიან ეკონომიკისა და ადამიანთა ალრდის საკითხებს.

მაგრამ ესოდენ გულგახეხარი წარმატებები, ესოდენ დადებითი, კეთილი ძვრები სრულიადაც არ გვაძლევს თვითდამშვიდების, გულარხეინობის უფლებას. მითუმეტეს, წინ უფრო ძნელი მოჭრებია ასაღები, უფრო რთული ამოცანებია გადასაწყვეტი, ამასთან, გაუთვალისწინებელი და გაუკეთებელიც ცოტა როდი დაგვრჩა. აი თუნდაც, ცოტა როდია რესპუბლიკაში ისეთი საწარმო, მეურნეობა, ორგანიზაცია თუ უწყება, რომელთაც სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება კი არა, საგეგმო დავალებებიც ჩაფუშეს. ეს ითქმის მადნეულის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატზე, წალკის, თეთრი წყაროს, დმანისის რაიონების მეკარტოფილეებზე, წულუკიძელ და ლაგოდეხელ მებოსტნეებზე, ბევრ სხვა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო შრომითს კოლექტივზე. ჯერ კიდევ დიდი სერიოზული და გულმოდგინე მუშაობაა საჭირო, რომ ჩვენს რესპუბლიკაში გამოშვებული პროდუქციის ხარისხი საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებს მაინც გაუთანაბრდეს.

ამიტომ საჭიროა, გადაუდებლად საჭიროა ყოველმხრივ გავაანალიზოთ ყრილობის შემდეგ დღემდე გაწეული ჩვენი მუშაობის შედეგები, ღრმად, საფუძვლიანად გავერკვეთ შეცდომებსა და ნაკლოვანებებში, საერთო მეცადინეობით, საერთო აზრის გათვალისწინებით ობიექტური დასკვნები გამოვიტანოთ და უკეთ მუშაობის ყველაზე სწორი გზებიც დავსახოთ.

დღეს კიდევ უფრო გონივრულად და შემოქმედებითად უნდა მოვიმარჯვოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისისა და ოქტომბრის პლენუმების დადგენილებები, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები, რომლებშიც მოცემულია ჩვენს საშუალებათა, ახალი რეზერვების გამოძებნისა და გამოყენების კონკრეტული მითითებები, კონკრეტული რჩევა-დარიგებები.

დღეს კიდევ უფრო საფუძვლიანად უნდა ვიხელმძღვანელოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი წლების პლენუმების დადგენილებებით, რომლებიც მიღებულია ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების ყველაზე მთავარ, საპირბოროტო საკითხებზე და თვითეულ პარტიულ, სამეურნეო, საბჭოთა, ორგანოს, თვითეულ პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციას, თვითეულ შრომითს კოლექტივს კვლავაც საუკეთესო დასმარებას გაუწევს მრეწველობის, და სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების აღმავლობისათვის, მექრთამეობის, პროტექციონიზმისა და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ აქტიური, შემტევ და პრინციპული ბრძოლაში.

დღეს, როგორც არასდროს, კიდევ უფრო მეტად გვჭირდება შესრულების შემოწმებისა და კონტროლის საუკეთესო ორგანიზაცია, მინდობილი საქმისათვის თვითეული მუშაკის, თვითეული ადამიანის პერსონალური პასუხისმგებლობა. თვითკონტროლი და თვითდისციპლინა ყოველი ჩვენგანის შინაგან მოთხოვნილებად უნდა იქცეს.

კიდევ უფრო ფართოდ გავავრცელოთ და პრაქტიკულ საქმედ ვაქციოთ რუსთაველთა პატრიოტული მოწოდება: „არცერთი ჩამორჩენილი, დაცდენილნის დამრღვევი — ჩვენს ჯეერდთ!“

კარგად მოფიქრებული, კარგად მოწყობილი პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა კი ის სათავეა, საიდანაც ბაზრდოს იღებს ყველა დიდი და კეთილი საქმე. ამიტომ ახლა განსაკუთრებით პასუხსაგები ამოცანების, დიდი საზრუნავის წინაშე დგანან პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები. მათ ყოველნაირად უნდა აამაღლონ საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების პასუხისმგებლობაც, გაიფართოონ კადრების პოლიტიკური ჰორიზონტი, უფრო მეტად აზრუნონ მათი ეკონომიური ცოდნის შევსებისათვის, ასწავლონ ადამიანებთან მუშაობა. მივაღწიოთ, რომ ყველა ადამიანმა, რა უბანზეც უნდა იღვწოდეს, იშრომოს დევიზით, რომელიც პარტიამ დაგვიხატა: მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია — უმცირესი დანახარჯებით!

ახალი შემართებითა და ენთუზიაზმით დაიწყო ახალი წელი — მეათე ხუთწლედის მეორე წელი, დიდი ოქტომბრის საიუბილეო წელი. იგი უნდა გახდეს ეკონომიკისა და კულტურის დიდი აღმავლობის, ყველგან და ყველაფერში წესრიგის შემდგომი გაუმჯობესების, გაფლანგვა-დაკარგვებისთან, მექრთამეობის, წამიტების, თვალის ახვევის, სოციალისტური კანონიერების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების წელი.

ყოველდღიურად ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებიდან და სოფლებიდან, ფაბრიკა-ქარხნებიდან, ახალმშენებლობებიდან, კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან მოდის ხალხისადმი, პატრიოტული ხმები ახალ სოციალისტურ ვალდებულებათა შესახებ. გადავიდეთ უფრო მარტივი ამოცანებიდან უფრო დიდსა და რთულ ამოცანებზე — ეს ლენინური დანაბარები ჩვენი ხალხის ყოველდღიური პრაქტიკული საქმეებით ვლინდება.

სწორედ ამ დღეებში მთელს რესპუბლიკაში მიმდინარეობს საოლქო, საქალაქო და რაიონული პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებები. ისინი განიხილავენ გასული წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს და მიმდინარე წლის სოციალისტურ ვალდებულებებსა და ამოცანებს, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილიდან და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან — „წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“.

ახლა ყველაფერი დამოკიდებულია თვითეული ჩვენგანის მუყაითობაზე, თვითეულის გარჯაზე და როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, „სახელმწიფო გეგმის, მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების უთუო შესრულება თვითეული კომუნისტის, თვითეული მშრომელის ღირსების საქმეა“.

საიუბილეო წლის ყოველი დღე — მხოლოდ დამკვრელური!

მომავალი წლის ანგარიშში

ფოთი. შეჯიბრების წინა ხაზზეა ნავსადგურის კოლექტივი. ავანგარდში არიან ხუთწლედის გმირები, მათ შორის ნოვატორი მეაბრეშე, ლენინისა და საპატიო ნიშნის ორდენოსანი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გივი გუგუშვილი.

მან უკვე უპატაჟა ტვირთის გადამუშავების მეათე ხუთწლედის ორი წლის პირადი დავალების შესრულება. მას მხარი დაუმშვენეს თანამოსაკმე მეამწეებმა მამია ნადარაიამ, ვიქტორ ერეშენკომ, ეგგენი ვერგეკოვმა და ანზორ თოფურიამ.

ახლა ხუთიანე ნოვატორი დიდი ოქტომბრის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას და ამ თარიღისათვის წლინახევრის პირადი დავალების შესრულებას კისრულობს.

კ. კოპაძიძე.

შეჯიბრების გაჩაღდა

ბათუმი. (საკ. კორ.). ქალაქში ახალი წლის პირველი დღეებიდანვე გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება **დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის შეხვედრისათვის.**

ათეულობით გემი იტვირთება და იცლება ბათუმის ნავსადგურში, მოდიან და მიდიან რკინიგზის მძიმე წონის შემადგენლობები, შეუფერხებლად მუშაობს ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა და 19 სახის პროდუქციას უგზავნის მომხმარებელს.

იანვრის პირველ ნახევარში ყველაზე ადრე გემი „ბოგდან ხმელნიცკი“ დამუშავდა, რკინიგზელებიც სწრაფად მოქმედებდნენ. ბატარეტლების შემდგენლებმა გ. კუპრეიშვილმა, დ. თევთაძემ და სხვებმა ვადაზე ადრე დაამთავრეს თავიანთი ცვლის დავალებები... შეჯიბრება გრძელდება ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში, აქ მოწინააღეთა რიგებში არიან № 1 და № 2 საამქროები.

ახლა ყველა უბანზე დამკვრელური ტემპია აღებული.

ვეტი პროდუქცია — მოთხვარებელს

თბილისი. ყოველდღიურად 18 დასახელების 250 ტონა რძესა და რძის ნაწარმს აწვდის დედაქალაქის 600-მდე სავაჭრო ობიექტს **რძის საწარმოო გაერთიანება.** ეს ყოველდღიური **დავალების 125-130 პროცენტია.**

შეჯიბრება მეტი, და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის სულ უფრო ფართოვდება. გაერთიანების მშრომელებს ვალდებულება აქვთ ნაკისრი იანვრის დავალება ექვსი დღით ადრე შეასრულონ და გეგმის გადამეტებით 1.000 ტონა პროდუქცია მიაწოდონ მოსახლეობას.

ეს რეალიზაციას აცნობა გაერთიანების დირექტორმა ვ. მაღლაკელიძემ.

ДРОЧЫ ГАУСЬГРЕС

ЗИАТУРА. (Сакь. корр.). Дзиматровэс ахьелэмбоны маларовэс **колектив ахаур сымон ыкъыгорэм ыкIи ЛенинымкIэ ЛIыкIуэм ыпэкIэ ЩIэжьыгъэр** мэдзэрэ.

Иэнвэрэ пэрыгъэ ныбжьыкIэм ЩIэжьыгъэр ЩIэжьыгъэм ЩIэжьыгъэ ЩIэжьыгъэ ЩIэжьыгъэ

ვიმუშაოთ უკეთ, გამოვიყენოთ ყველა რეზერვი!

რუსთავში გაიმართა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება.

მან განიხილა ქალაქის მშრომელთა 1976 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, 1977 წლის სოციალისტური ვალდებულებები და ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს კომეურნეებისადმი, საბჭოთა მეურნეობების მუშების, მექანიზატორების, მეცნიერების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, სოფლისაოვის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მიმწოდებელი მრეწველობის მუშაკების, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილიდან და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ლკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან — „წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე, ქალაქის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, წარმოების მოწინავეები, ქალაქ რუსთაველთან შეჯიბრებული ქალაქის — სუმგაითის მშრომელთა წარმომადგენლები.

კრების საპატიო პრეზიდიუმში ერთსულოვნად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი რ. მ. გიორგაძე. კამათში მონაწილეობდნენ მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ო. ნ. სულაძე, ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მგრეხელი ვ. ი. რიფოვა, ქიმიური ქარხნის პარტკომის მდივანი ლ. მ. ხარკევიანი, ქალაქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი ი. ს. ზარიძე, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ე. უბერია, ცემენტის ქარხნის ზეინკალთა ბრიგადირი ი. ვ. შანიძე, ამიერკავკასიის „მეტალურგშენის“ ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველოს უფროსი გ. ი. კაციტაძე, გაზეთ „სოციალისტური რუსთაველი“ რედაქტორის მოადგილე თ. ქ. ჯიბღაშვილი, ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის პარტბიუროს მდივანი ნ. ვ. თათარაშვილი, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ნ. ასანიშვილი.

დაპატეგით — 5 მილიონი!

— ასეთია რუსთაველთა გადაწყვეტილება

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მეათე ხუთწლედის პირველ წელს რუსთავის მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულების საქმეში. 26 დეკემბრისათვის, ვალდებულებებით გათვალისწინებულ ვადაზე ორი დღით ადრე, შესრულდა მთლიანი პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდის დავალება. გეგმის გადამეტებით გამომუშავებულია 6,5 მილიონი მანეთის პროდუქცია. 1975 წელთან შედარებით სამრეწველო წარმოების მატებამ 103,3 პროცენტი შეადგინა. 8,6 პროცენტით გაიზარდა ძირითადი საწარმოო ფონდები.

გარკვეული წარმატებები მოიპოვეს საშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა კოლექტივებმა, რომლებმაც გეგმის გადამეტებით საექსპლოატაციოდ გადასცეს ოთხი ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი; დროულად ჩაბარდა მწყობრში კოკილსმულის საწარმოო კომპლექსი ფოლადთუჯსამსხმელო ქარხანაში, მეორეული ალუმინის ქარხნის მეორე რიგი, სარგავი მილების უბანი მეტალურგიულ ქარხანაში, სანატორიუმ-პროფილაქტორიუმი ამავე ქარხნის მუშაკებისათვის, სხვა ობიექტები.

ყოველივე ეს ქალაქის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, მოსამსახურეების თავდადებული შრომის, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დიდი ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის, მასებთან მათი კავშირის განმტკიცების, მასების ინიციატივის განვითარების, საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცების, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგია.

კრების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის შემდგომი ამაღლებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად მათი დარაზმვისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, დებულებებსა და დასკვნებს, რომლებსაც შეიცავს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პლენუმზე წარმოთქმული სიტყვა. ქალაქის მშრომელები სწორედ ამ ამოცანების შესაბამისად წარმართავენ თავიანთ მეცადინეობას, რათა უმაღლეს ეკონომიურ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს მიაღწიონ სამეურნეო მშენებლობის ყველა უბანზე.

აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ წარმატებები მნიშვნელოვნად უფრო დიდი იქნებოდა, ქალაქის სამრეწველო საწარმოებისა და მშენებლობების ყველა კოლექტივი რომ ექებდეს და წარმოების სამსახურში აყენებდეს ახალ რეზერვებს, ყველგან რომ ფართოდ გაშალოს შეჯიბრება მუშაობის ეფექტიანობის გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, მაგალითად, ლითონკონსტრუქციების, ელექტროსამაგრების ქარხნებში, სახლთსაშენებელ, საშენ მასალათა კომბინატში, სადაც თვიდან თვემდე ვერ სრულდება სახელმწიფო დავალებები, ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები, ბევრი რეზერვი გამოუყენებელი რჩება.

დამაკმაყოფილებელი არ არის ბევრი საწარმოს, მათ შორის ქიმიური და ქიმიური ბოჭკოს ქარხნების კოლექტივების მეცადინეობა რეკონსტრუქციისა და ხელახალი ტექნიკური აღჭურვის დარგში.

აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე როდია კაპიტალურ მშენებლობაში. საშენებლო და სამონტაჟო სამმართველოებში დაბალია შრომის ნაყოფიერება, სუსტად ინერგება მოწინავე მეთოდები.

ბოლო ხანებში რამდენადმე გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი, მაგრამ შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ უმაღლესი ხარისხის პროდუქციის წილი მის საერთო მოცულობაში მხოლოდ 7.8 პროცენტს შეადგენს, ხოლო პროდუქციის 18 პროცენტს საერთოდ არ გაუვლია ატესტაცია.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ შეუწყნარებლად მიიჩნია, რომ ქალაქის მეტ წილ საწარმოებს არ დაუწყვიათ ფართო მოხმარების საქონლის წარმოება.

კრებაზე აღინიშნა, რომ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის საქმეში უნდა აღმოიფხვრას ფორმალიზმი, საჭიროა ფართოდ დაგუშიროთ მზარი მშრომელთა ინიციატივას — შემხვედრ გეგმებს, უფრო გავაძლიეროთ ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა მშრომელთა ფართო მასებში.

ქალაქ რუსთავის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ა. პატარიძემ.

განხილულ საკითხზე კრების მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია.

მიღებულია 1977 წლის სოციალისტური ვალდებულებები, რომლებშიც გათვალისწინებულია, რომ პროდუქციის მოცულობისა და მისი რეალიზაციის **წლიური გეგმა შეასრულონ ვადამდე, 28 დეკემბრისათვის, წლისა დამლევამდე დამატებით გამოუშვან 5 მილიონი მანეთის პროდუქცია,** მათ შორის რეზერვების გამოყენების შედეგად წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვან: 2 ათასი ტონა კოქსი, 3,2 ათასი ტონა თუჯი, 4 ათასი ტონა ფოლადი, 2,5 ტონა მზა ნაგლინი, 2 ათასი ტონა ფოლადის მილები, 20 ათასი ტონა მინერალური სასუქები, 120 ტონა კაპროლაქტამი, 70 ტონა ქიმიური ბოჭკო, 5 ათასი ტონა ცემენტი, 250 ტონა ალუმინის შენადნობები, 2 კოშკური ამწე; შრომის ნაყოფიერების გადიდების შედეგად მიიღონ პროდუქციის მოცულობის მატების 90 პროცენტი.

მიღებულია გადაწყვეტილება, რომ გაგრძელდეს ქალაქ რუსთავის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება ქალაქების — ჩერკასის, კიროვაკანის, სუმგაითისა და ქუთაისის მშრომელებთან.

(საქინფორმი).

სალხთა მეგობრობის ხუთწლეული

ვამრავლოთ რესპუბლიკის წვლილი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა: „...როგორც ყოველთვის, საბჭოთა კავშირის ეკონომიკის განვითარების ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს თვითეული მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის სპეციფიკურ თავისებურებებსა და მოთხოვნილებებს, უზრუნველყოფს მათს პარმონიულ განვითარებას, მათს საერთო აღმავლობას სოციალური პროგრესის ახალი მწვერვალებისაკენ. ჩვენი ხუთწლედი — ეს არის ხალხთა მეგობრობის ლენინური პოლიტიკა ეკონომიკის ენაზე“.

საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა ახალგზრდა ინჟინერ-ტექნიკოსს, ქალაქ რუსთავის ელექტროქიმიური ქარხნის ელექტროლიზერების ცეხის ოსტატ-ბრიგადირ ალექსანდრ ალექსეევიჩ ბოგომოლოვს, ეთქვა ოსტატობის ამაღლებისა და ეკონომიურ-ეფექტიანი მუშაობის ხერხებზე.

— ჩემ ბრიგადაში ბევრ ახალგაზრდა ბიჭია, ბევრ ოსტატ-ბრიგადირ ბიჭ-ბიჭ-ბიჭ-

ფაქტები, პრობლემები

მსოფლიოს არჩევანი

საქართველოს კორესპონდენტები და უცხოეთის პრესის საგანგებო ოფიციალური

მშვიდობის ნათელი პროგრამა

ნიუ-იორკი. (საკადრო). ამერიკის პრეზიდენტ კვლავ დიდ ყურადღებას უთმობს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას საზეიმო კრებაზე ეროვნულ-ოთხმოცდაათ კი ამ დებულებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას შეეხება. პრეზიდენტ ჯ. კარტერს, რომელიც ეს-ეს არის აწყვებს თავის მოლაპარაკებას, აღნიშნავს გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი", ახლა მაგიდაზე უდევს დაძაბულობის შენელების განხორციელების ნათელი საბჭოთა პროგრამა.

ამ გეგმის ცენტრშია სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვა, შეთანხმების მიღწევა 1974 წლის ნოემბრის მორიგების საფუძველზე. შეერთებულ შტატებში, წერს გაზეთი, „ყურადღებას უთმობენ აგრეთვე იმას, რომ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ნათქვამი იყო, რომ საუბრია მოლაპარაკება გაგრძელდეს ასეთი შეთანხმებაზე მიღწევის შემდეგაც. ამასთან აღნიშნავენ, რომ სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა „ბიძგი მისცა მსოფლიოში ატომური იარაღის გავრცელების შეზღუდვის საქმეს".

როგორც „კრისჩენ საიენს მონიტორი" წერს, ამერიკელმა ანალიტიკოსებმა „ყურადღება დაუთმეს იმას, რომ ლ. ი. ბრეჟნევი თავის სიტყვაში შეეხო ვენის მოლაპარაკებას ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ". ეს მოლაპარაკება უკვე თითქმის ორი წელიწადია არ დაძრულა მკვდარი წერტილიდან", — აცხადებს გაზეთი.

თუ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში მიღწეული იქნება პროგრესი სხვა დარგებშიც, წერს „კრისჩენ საიენს მონიტორი", იგი მიღწეული იქნება საკაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის საკითხებშიც.

ჯ. კარტერის ინტერვიუ

ვაშინგტონი. (საკადრო). ამერიკის საინფორმაციო სააგენტოებისაგან მიკვლეულ ინტერვიუში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა განაცხადა, რომ მას „სურს სწრაფად ან ენერგიულად მიაღწიოს ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის თაობაზე ყოვლისმომცველი ხელშეკრულების დადებას". „მე, — თქვა მან, — ყველა ატომური მოწყობილობის გამოცდის დაუყოვნებლივ და მთლიანი შეწყვეტის იდეის მომხრე ვარ".

როგორც ჯ. კარტერმა განაცხადა, იგი არ დაუშვებს, რომ ზოგიერთი ახალი სახეობის იარაღზე ვლადივოსტოკის ხელშეკრულების დებულებათა გავრცელების გამო უთანხმოებამ ხელი შეუშალოს უკვე უახლოეს დროში შეთანხმების მიღწევას.

შეეხო რა განიარაღების შემდგომ მოლაპარაკებათა პერსპექტივებს, პრეზიდენტმა თქვა:

„რომ მოვახერხებდეთ საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადებას ატომური იარაღის არსებობის შემცირების შესახებ, შემდგომი ღონისძიება, ცხადია, იქნებოდა ამ მეცადინეობაში სხვა ატომური სახელმწიფოების, მათ შორის, რა თქმა უნდა, საფრანგეთისა და ინგლისის, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჩაბმის ცდა".

ჯ. კარტერმა განაცხადა, რომ სავსებით მოსალოდნელია მომდინარე წელს ახლო აღმოსავლეთის საკითხზე საზავო კონფერენციის მოწყობა. როგორც მან თქვა, სახელმწიფო მდივანი ს. ვანსი ახლო აღმოსავლეთში თავისი მომავალი მოგზაურობის დროს, ამ პრობლემას განიხილავს ამ რაიონის ზოგიერთი სახელმწიფოს მთავრობებთან ერთად.

შევაჩეროთ გამალებული შეიარაღება

მასობრივი საპროტესტო მიტინგი თეთრი სახლის წინ

□

ვაშინგტონი. (საკადრო). „არ გვინდა „ბ-1", „ჩვენ გვჭირდება სკოლები და არა თვითმფრინავები", „შევაჩეროთ გამალებული შეიარაღება" — ასეთი ტრანსპარანტები გაჩნდა თეთრი სახლის წინ. დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა მასობრივი საპროტესტო მიტინგი გამართეს პენტაგონის მიერ გაჩაღებული გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ.

მიტინგზე გამოსულმა წარმომადგენელთა პალატის წევრმა ჯ. ბინჰემმა, კონგრესი მშვიდობისათვის მებრძოლ მოქალაქეთა ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ს. გოტლიბმა და სხვა ორატორებმა აღნიშნეს, რომ ამჟამად ამერიკელი ხალხის წინაშე დგას ამოცანა შეაჩეროს ძვირადღირებული, მაგრამ ქვეყნისათვის აბსოლუტურად უსარგებლო „ბ-1" ბომბდამშენების წარმოება.

საპროტესტო მიტინგები ლოზუნგით „არ გვინდა „ბ-1" ბომბდამშენები" გაიმართა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების 111 ქალაქში.

ბ. ნეტოს გამოსვლა

ლუანდა. (საკადრო). ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მოძრაობის (მპლა) თავმჯდომარემ, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. ნეტომ მოუწოდა ანგოლის მშრომელებს განამტკიცონ სიფხიზლე, ჭეროვანი პასუხი გასცენ საერთაშორისო და შინაური რეაქციის ხრიკებს.

საერთაშორისო იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალებს, განაცხადა მან ლუანდაში მასობრივ მიტინგზე გამოსვლისას, არ სურთ შეურიგდნენ პროგრესულ გარდაქმნებს, რომლებსაც დამოუკიდებელი აფრიკის მთელ რიგ ქვეყნებში ახორციელებენ.

ვითარება ეგვიპტეში

ცდილობენ დაფარონ მუშრომელთა აღშფოთების ნამდვილი მიზეზები

კაირო. (საკადრო). ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა კომენდანტის საათის გაუქმება, რომელიც სამი დღე-ღამის განმავლობაში მოქმედებდა კაიროსა და ეგვიპტის მთელ რიგ სხვა დიდ ქალაქებში მშრომელთა მასობრივ გამოსვლებთან დაკავშირებით. მაგრამ მისი გაუქმების შედეგადაც ქვეყანაში გრძელდება მუშების, ახალგაზრდებისა და სხვა ეგვიპტელების დაპატიმრება, რომლებიც გამოვიდნენ საარსებო უფლებების ხელყოფის წინააღმდეგ. დედაქალაქის ქუჩებში ახლაც არიან პოლიციის რაზმები და სამხედრო პატრულები.

გუშინ პრეზიდენტ სადათს 5-საათიანი თათბირი ჰქონდა ქვეყნის სახელმწიფო და პოლიტიკური აპარატის ხელმძღვანელებთან. როგორც მენის საააგენტო იუწყება, თათბირში მონაწილეობა მიიღეს ვიცე-პრეზიდენტმა ჰ. მუბარაკმა, სახალხო კრების თავმჯდომარემ ს. მარეიმ, პრემიერ-მინისტრმა მ. სალემმა, არაბთა სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა მ. ჰალილმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. ფაჰმიმ, სამხედრო მინისტრმა მ. ა. ალ-გამასიმ, შინაგან საქმეთა მინისტრმა ჰ. ფაჰმიმ და საერთო დაზვერვის სამსახურის უფროსმა კ. ჰასანმა. საააგენტოს ცნობაში არ არის მოყვანილი რაიმე დაწვრილებითი ცნობა თათბირის შესახებ და ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ ეს თათბირი მიეძღვნა საშინაო ეკონომიკის განხილვას.

მმართველი ცენტრისტული პარტიის ხელმძღვანელობა გუშინ გამართულ სხდომაზე თავს დაესხა მემარცხენე პარტიას და ამტკიცებდა, თითქოს ამ პარტიის ბევრი ხელმძღვანელი „მონაწილეობას იღებდა წამქეზებლურ და ძირგამომთხრელ საქმიანობაში უკანასკნელი ამბების დროს".

ახლა ეგვიპტის პრესაში გაჩაღებულია ანტიკომუნისტური კამპანია, რომლის საშუალებით ცდილობენ დაფარონ მშრომელთა აღშფოთების ნამდვილი მიზეზები — ეგვიპტის გაძლიერებული ეკონომიური სიძნელეები.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ამ ბოლო დროს ეგვიპტის პრესაში გამოქვეყნებული არამგზავრული სტატიები საბჭოთა კავშირის მიმართ. მათი ავტორები ცდილობენ ისე დასახონ საქმე, თითქოს საბჭოთა კავშირის ურთიერთობას ეგვიპტესთან ამ ბოლო წლებში ახასიათებდეს ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის შინაურ საქმეებში ჩარევა.

□

ნიუ-იორკი. (საკადრო). კომენტარს უძღვნის რა დაპატიმრებებს ეგვიპტეში, გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი": „მთავრობამ იტაკვეა ჯგუფს, რომელსაც „ეგვიპტის კომუნისტური მუშათა პარტია" ეწოდება, ბრალად დასდო არეულობისათვის წაქეზება. მაგრამ არეულობას ჰქონდა გაცილებით უფრო სერიოზული მიზეზი: ქრონიკულად დაავადებული ეკონომიკა, რომელმაც სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა მოლიონობით ეგვიპტელი".

ვიეტნამი დღეს

ამას წინათ მწყობრში ჩადგა რკინიგზის მაგისტრალი „ერთიანობა", რომელიც გაერთიანებული ვიეტნამის სიმბოლოა. ორ ათას კილომეტრამდე სიგრძის გზა ჰანოიდან ხოშიმინამდე მშენებლებმა რეკორდულად მოკლე დროში გაიყვანეს. ტრასის გასწვრივ გაიყვანეს სატელეფონო კავშირგაბმულობის ხაზი, აღდგენილია და ხელახლა აიგო 185 რკინიგზის სადგური და ვაგზალი.



სურათზე: ჰანოის სადგურის შენობა.

ტასს-საკავშირო ფოტო.

ეგვიპტის ეკონომიკა

ამ ბოლო დღეებში კაიროს, ალექსანდრიისა და ეგვიპტის სხვა ქალაქების ქუჩები მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლების ასპარეზად იქცა. ასეულ ათასობით მშრომელი გამოვიდა დემონსტრაციებზე. ისინი პროტესტს აცხადებენ მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლის შედეგად ქვეყანა მოიცვა ღრმა ეკონომიურმა კრიზისმა, მკვეთრად გაიზარდა ფასები და დაქვეითდა ცხოვრების დონე, შეწყდა იმ სოციალური ეკონომიური რეფორმათა განხორციელება, რომლებიც პრეზიდენტმა გ. ნასერმა წამოიწყო. „ჩვენ სულ უფრო ურესად ვცხოვრობთ", „ძირს ექსპლოატაცია და სიღატაკე," „სულ ერთია, რა მოგვკვლავს, შიმშილი თუ ტყვია" — ერთხმად გაიძახოდნენ დემონსტრანტები.

ხალხის მოთხოვნებს ხელისუფლებმა ძალის გამოყენებით უპასუხეს: დედაქალაქში შეიყვანეს რეგულარული ჯარები. დემონსტრანტებმა მაშინვე აღმართეს ბარიკადები და გაჩაღდა ბრძოლები დემონსტრანტებსა და ჯარებს შორის, რომლებმაც მუშების, მოსამსახურეებისა და სტუდენტების წინააღმდეგ მარტო ხელკეტები და ცრემლსაცენი გაზი კი არა, ცეცხლსასროლი იარაღიც იხმარეს.

მშრომელთა შეტაკებანი ჯარებთან და პოლიციასთან მოხდა აგრეთვე ალექსანდრიაში და ეგვიპტის სხვა ქალაქებში. ეგვიპტის ხელმძღვანელობის ასაკანი იყო და მომავლის განსაკუთრებულ შიშს არ იწვევდა. ეგვიპტე, რომელიც ეყრდნობოდა სოციალისტური სახელმწიფოების, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის დახმარებას, გონივრულად იყენებდა საკუთარ რესურსებს და მაკეცად ადგა პრეზიდენტ ნასერის მიერ დასახულ კურსს—თანამედროვე სამრეწველო ბაზის შექმნისა და ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცების კურსს. მაგრამ ნასერის გარდაცვალების შემდეგ ეგვიპტის ახალი ხელმძღვანელობის პოლიტიკაში სულ უფრო მკაფიოდ იჩენდა თავს ტენდენციები, რომლებიც მოწმობდა, რომ ქვეყანა ასცდა დროით შემოწმებულ ამ კურსს. ამ ტენდენციათა განვითარების კულმინაციური მომენტი იყო სამი წლის წინათ ეგრეთწოდებული „ღია კარისა და ეკონომიური ლიბერალიზაციის" პოლიტიკის, ანუ, როგორც მას არაბულად უწოდებენ, „ინფიტაჰის" პოლიტიკის გამოცხადება. პრაქტიკულად ეს პოლიტიკა ნიშნავდა, — ერთი მხრივ, ეგვიპტეში უცხო კაპიტალის ფართო მოზიდვას, ხოლო მეორე მხრივ—ადგილობრივი ბურჟუაზიის საქმიანობის ყველა შეზღუდვის გაუქმებას. ეგვიპტის ხელმძღვანელობის ახალ პირმშოს ფართო რეკლამას უწევდნენ, როგორც სასწაულმოქმედ საშუალებას, რომელსაც შეუძლია ქვეყანა გადაარჩინოს ყოველგვარ ეკონომიურ სნეს.

ახლა, როცა „ინფიტაჰი" თოთო ბავშვი აღარ არის, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ მან ვერ გაამართლა მასზე დამყარებული იმედები. კრიზისი, რომელსაც ეგვიპტის ეკონომიკა განიცდის, არათუ ვერ დაძლიეს, არამედ იგი უფრო გაღრმავდა. ქვეყანამ ვერა და ვერ მოახერხა წარმოების მოცულობის რამდენადმე შესამჩნევად გადიდება.

როგორც მოსალოდნელი იყო—და სწორედ ამაზე წერდა ამას წინათ ინგლისის ჟურნალი „ეკონომისტი", — უცხოელი მეწარმენი დიდი სიფრთხილით მოეკიდნენ ეგვიპტის ეკონომიკაში კაპიტალის დაბანდების იდეას. ეს აიხსნება, ჯერ ერთი, იმით, რომ დარწმუნებული არ არიან ახლანდელი რეჟიმის პოლიტიკურ სტაბილურობაში, მეორეც, ქვეყნის ეკონომიური პირობები ვერ უზრუნველყოფენ კაპიტალის სწრაფ ბრუნვას და მოგების მალე მიღებას. ამიტომ ის მეცირეცხოვანი უცხოელი მეწარმენი, რომლებმაც მაინც გაბედეს დაეწყოთ ოპერაციები ეგვიპტეში, თავიანთ კაპიტალს უწინარეს ყოვლისა აბანდებენ სასტუმროებისა და სხვა ტურისტული ობიექტების, საწყობების, წვრილი წარმოების მშენებლობაში. გასაკვირიც არ არის, მათ ხომ უპირველეს ყოვლისა პირადი ინტერესები საკუთარი კაპიტალური დაბანდებიდან მიღებული მოგება და ყველაზე ნაკლებად — ეგვიპტის ეკონომიური განვითარება.

მაგრამ, თუ საბჭოთის კაპიტალი არ ჩქარობს ეგვიპტეს დაეხმაროს წარმოების განვითარებაში, ჯერეფლო აქტივობა გამოიჩინა მან სანაკლო საქმეში. ეგვიპტეში უკვე მოქმედებს 23 უცხოთისა და შერეული ბანკი. ეს თითქმის იმდენივეა, რამდენიც იყო 1956 წელს, ბანკების ნაციონალიზაციამდე. როგორც შეშფოთებით აღნიშნავს ეგვიპტის პროგრესული საზოგადოებრიობა, ზღვისგაღმელ და ოკეანისგაღმელ ბანკირთა საქმიანობის აქტივიზაციამ შესაძლოა დიდი საფრთხე შეუქმნას ეგვიპტეს. ჯერ ერთი, იმით, რომ უცხოთის ბანკები, რომლებიც ეგვიპტის საბანკო საქმეში მკვიდრდებიან, ამ სფეროში სულ უფრო ავიწროებენ სახელმწიფო სექტორს. მეორეც, უცხოთის ბანკები, — მათ შორის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რომლებიც მეჩიდროდ არიან დაკავშირებული იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან და საერთაშორისო მონოპოლიებთან, — თავიანთ მხარდ გავლენას იყენებენ ეგვიპტის მთავრობაზე ზეგავლენის მოსახდენად. მაგალითად, მთავრობის უკანასკნელი გადაწყვეტილება ფასების შენარჩუნების ხუსტიდიათა შემცირების შესახებ, რომელმაც ხალხის რისხვა გამოიწვია, სწორედ დასავლელი კრედიტორების მიერ იყო ნაკარნახევი.

ეგვიპტის ხელმძღვანელობას არც ეგვიპტის კერძო კაპიტალმა გაუმართლა იმედი. ეჭვი არ არის, რომ, მიიღო რა მთავრობისაგან მთელი რიგი არსებითი შეღავათები და პრივილეგიები, მან შესამჩნევად გააქტიურა თავისი საქმიანობა. მაგრამ ეს საქმიანობა ძალზე შორს არის წარმოების სფეროდან. ეგვიპტის კერძო კაპიტალმა, რომლის უდიდესი ნაწილი აშკარად პარაზიტული ხასიათისაა, მთავარი ყურადღება მიაქცია საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციებს, მაკლერობას, უძრავი ქონებით აფიორებსა და „შავ ბაზარზე" ვაჭრობას, რადგან სწორედ ეს სფეროები უკადიან კერძო მეწარმეს ყველაზე დიდ მოგებას.

ადგილობრივ კაპიტალისტთა მზარდი აქტივობის ერთ-ერთი შედეგი გახდა შინაურ ბაზარზე საიმპორტო საქონლის სიჭარბე, რამდენადაც იგი მიუწვდომელია ეგვიპტელთა დიდი უმრავლესობისათვის. ისეთ ქვეყანაში, სადაც საშუალოწლიური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე მხოლოდ და მხოლოდ 80 დირვანდია, მყიდველს ერთ წყვილ საიმპორტო ფეხსაცმელში სთხოვენ 50, მამაკაცის პერანგში —15 და კოსტიუმში —150 დირვანქას.

ამ ფასებში საქონლის ყიდვა შეუძლია მხოლოდ ერთ მუჭა ახლად გამდიდრებულ არამზადს, ანუ, როგორც მათ ეგვიპტეში ეძახიან „მხუქან კატებს", რომლებიც ამ ბოლო წლებში ზღაპრულად გამდიდრდნენ ხალხის აშკარა ძარცვით. რევოლუციამდე ეგვიპტეში მხოლოდ 3 მილიონერი იყო, ხოლო „ღია კარის" პოლიტიკის წლებში 500 ჯახდა. ეს ახლად გამოჩეკილი მილიონერები დროს ატარებენ ღამის კლუბებსა და კაზინოებში, დასეირნობენ ლიმუზინებით, ქეიფობენ ყველაზე ძვირ რესტორნებში. თითქმის ყოველ საღამოს კაიროს ფეშენებელურ სასტუმროებში — „ჰილტონში", „შერატონსა" და „მერიდიანში" ერთი ამბით იხდიან ქორწილებს.

სტატისტიკური მონაცემებით, 1975 წელს ეგვიპტეში წარმოებული მთელი მატერიალური დოვლათის მეოთხედზე მეტი მოიხმარა იმ ფენამ, რომელიც მოსახლეობის მხოლოდ 2 პროცენტს შეადგენს. „სამარცხვინო" უწოდა ასეთ მდგომარეობას თავის პროგრამაში ეროვნულ-პროგრესულმა პარტიამ. სწორედ „მხუქანი კატების" ამ მეირერიცხოვან ფენას ეკისრება პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ ეგვიპტე მეტს ხარჯავს, ვიდრე აქვს, და სულაც არ გააჩნია დაგროვილი სახსრები, რომლებიც საჭიროა ეკონომიური და სოციალური განვითარების პროექტების დასაფინანსებლად.

ამ პირობებში ეგვიპტე იძულებულია დაადგეს უცხოთისაგან სულ ახალ-ახალი კაბალური სესხის მიღების მოლიპულ გზას. ჟურნალ „ეგვიპტის აფრიკის" მონაცემებით. ეგვიპტის საგარეო ვალმა ასტრონომიულ თანხას — 14 მილიარდ დოლარს მიაღწია. მიღებული კრედიტის დასაფარავად საჭირო სახსრების მოსანახად იგი ახალ ვალებში ეფლობა და ბანკის მოკლევადიან სესხსაც ერიდება, თუმცა ამ სესხის დაფარვის ვადა მხოლოდ და მხოლოდ 3-6 თვეა და სარგებელი 19 პროცენტს აღწევს.

მაშ ასე, „ინფიტაჰს" არ მოჰყოლია არავითარი დადებითი შედეგები. მან მხოლოდ ხელი შეუწყო ბევრი სოციალური პრობლემის გამწვავებას, ეგვიპტეს თავს დაატეხა ინფლაცია, გამოიწვია კორუფცია და სახელმწიფო ხაზინის განიავება. ამიტომაც არის, რომ „ღია კარის" პოლიტიკას აქ მოსწრებულად დაარქვეს „ღია უკანა კარის პოლიტიკა", რადგან მოხელეები ყოველნაირ ხვრელს იყენებენ, რომ თვითონ გამდიდრდნენ სახელმწიფო სახსრების მიტაცების გზით. ეგვიპტელ მშრომელს კი „ინფიტაჰმა" შემატა მხოლოდ ახალი საზრუნავი, როგორ არჩინოს ოჯახი?

სწორედ ასეთი პოლიტიკის შედეგმა გამოიწვია თავისი მასშტაბით უპრეცედენტო მღელვარება, რომელმაც მთელი ეგვიპტე მოიცვა იანვრის ამ დღეებში.

მთავრობა შეეცადა შეენელებინა ხალხის მასების რისხვა და იძულებული გახდა „შეეჩერებინა" სუბსიდიების შემცირების გამოცხადებულ ღონისძიებათა განხორციელება და ეს საკითხი კვლავ გადაეცა განსახილველად სახალხო კრებისათვის. მომავალი გვიჩვენებს, თუ როგორ განვითარდება შემდგომში ეგვიპტის ამბები.

ა. სურიკოვი,
(საკადრო).

პეკინის პუბლიკაციები

პეკინი. (საკადრო). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა პეკინში აკრედიტებულ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები უ დე და ჩენ სი-ინი, რომლებიც ამას წინათ დაძაბულობები გაარკვიეს, თავიანთ პოსტებზე რჩებიან. პირველი მათგანი პეკინის რევკომის თავმჯდომარეა, ხოლო მეორე — დედაქალაქის სამხედრო ოლქის ჯარებს სარდლობს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს განუცხადება დამეხვა ჟურნალ „მშენებელი ჩინეთის" ახლახან გამოსულ უკანასკნელ ნომერში ინ სიტყვის გამოქვეყნებას, უ დემ რომ წარმოთქვა ოქტომბერში მიტინგზე, რომელიც მოეძღვნა ჰუა გო-ფენის დადგომას ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ და ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამხედრო საბჭოს თავმჯდომარედ. ჟურნალისეული ტექსტი განსხვავდება იმ ტექსტისაგან, რომელიც მიტინგის დამთავრებისთანავე გამოქვეყნდა. აქ ამოღებულია დენ სიაო-პინის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები.

ამ რამდენიმე დღის წინ პეკინის პრესამ დაწვრილებით დაუქადა აგრეთვე იმ სიტყვის შინაარსი, რომელიც დეკემბერში გააკეთა „სრულიად ჩინეთის დაჯის მოწინავე გამოცდილების გამავრცელებელ თათბირზე „შანჰაის რევკომის თავმჯდომარის მოადგილემ ვან ი-პინმა (როგორც ცნობილია, ამ რევკომის თავმჯდომარე იყო ჯან ჩუნ-ციაო — ამჟამად შერიხსნული „ოთხთა ჯგუფის" ერთ-ერთი წევრი). ამ სიტყვაში ნათქვამია, რომ „ოთხეულმა" შანჰაი გაიხადა საყრდენ პუნქტად „რათა აესრულებინა პარტიასა და სახელმწიფოში უზენაესი ხელისუფლების უზურპაციის განზრახვა".

ვან ი-პინის თქმით, „ოთხთა ჯგუფის" წევრები, ერთი მხრივ, არმიის რიგებში განხეთქილებას ჩამოგდებას ცდილობენენ, მეორე მხრივ კი მოიშველიეს მოლაშქრენი, რათა გაეხადათ ისინი „მეორე შეიარაღებულ ძალებად", რომელიც დაეხმარებოდა ძალაუფლების ხელთ ჩაგდებაში. ამ ადამიანებს, თქვა ორატორმა, განზრახული ჰქონდათ ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამხედრო საბჭოს სრულიად ჩინეთის სახალხო მოლაშქრეთა სარდლობა.

ქვის ჯუნგლებში

რისკი ფულისათვის?

შეიძლება თუ არა, რომ ხიცოცხლისათვის საშიში ტრიუკების შესრულება პროფესია იყოს? დიახ, შეიძლება და ეს საყოველთაოდ ცნობილია. ამ პროფესიის ადამიანებს კასკადერებს უწოდებენ. მათი შრომა საპატიო და დასაფასებელია და იმ მსახიობთა შრომას ენათესავება, რომლებსაც ისინი ცვლიან ისეთი ეპიზოდების გადაღებისას, როცა მამაცობა, მოქნილობა და სპეციალური მომზადებაა საჭირო.

სულ სხვა საქმეა ოინბაზობა. მათთვის მთავარია დიდება და სახელი, რის გამოც ხშირად მაყურებლის საამებლად ხიცოცხლის რისკს ეწევიან.



სურათზე თქვენ ხედავთ თვითმფრინავს, რომლითაც ნაჩვენები იქნება კიდევ ერთი სარისკო ნომერი. ფრენის მთელ მანძილზე თვითმფრინავზე ღვედებით დამაგრებული იდგება ამერიკელ მფრინავ უეინ პიტერსის ცოლი ბეტსი. თვითმფრინავი შეასრულებს უმაღლესი პილოტაჟის რთული ფიგურების სერიას.

დიდებისა და ფულის წყურვილი? შეიძლება ასეც იყოს. მაგრამ შესაძლოა, რომ ამ ადამიანებისათვის სიკვდილთან თამაში ნახევრადმშიერი არსებობიდან თავის დაღწევის უკანასკნელი იმედი იყოს.

დიდი ეზო

გრიგოლ აბაშიძის სამტომეულის ახალი



ამ დღეებში მოსკოვის მწერალთა ლიტერატურის („ხელოვნების ყველაზე ნაკლებ ლიტერატურა") გამომცემლობამ გამოსცა გამოჩენილი ქართველი მწერლის, სოციალისტური შრომის გმირის **გრიგოლ აბაშიძის** სამტომეულის პირველი ტომი.

ამ ტომში დაბეჭდილია ლექსები, პოემა („ზარზმის ზმანება") დრამები ლექსად („მუმლი და მუხა", „მოგზაურობა სამ დროში") და რომანი „ლაშარელა". ნაწარმოებები თარგმნილია რუსული სიტყვის თვალსაჩინო ოსტატების მიერ (ნ. ტიხონოვი, ნ. ზაბოლოცკი, ა. ტარკოვსკი, მ. ლუკონინი, ა. მეჟეროვი, ე. ეინოკუროვი და სხვ.).

მეორე ტომში დაიბეჭდება XIII საუკუნის ქართული ქრონიკის შემდგომი ორი რომანი „დიდი ლამე" და „ცოტნე", ხოლო მესამეში — „ეორნალი" და მოთხრობები.

პირველ ტომს ერთვის **ნიკოლოზ ტიხონოვის** — „სიტყვა **გრიგოლ აბაშიძეზე**" და კრიტიკოს **ოსტბ გრინგბერგის** შესავალი წერილი — „**დროთა ცოცხალი კავშირი**".

წიგნის ტირაჟია 50.000.

ქვემოთ „კომუნისტის" მკითხველს ვთავაზობთ ნ. ტიხონოვის წინათქმას:

გრიგოლ აბაშიძის პოეზია პოეტი-ფილოსოფოსის შთაგონებაა, და მისი პირველი კრებულებიდან ლირიკული ხმაც გვესმის, რომელიც მიმართულია წარსულისკენ, „სად ქართველი წინაპარი „ტაძარს აგებდა, — ეცვა წვრილთვალა, ვეფხის წიგნს სწერდა ჯაჭვგაუხდელი" და თანამედროვის — საბჭოთა ადამიანის, სამშვიდობო და საბრძოლო გმირულ საქმეთა შემოქმედის ხმაც.

გრიგოლ აბაშიძის ლექსი ხმამაღლა ყღერს მოძმე ხალხთა პოეტურ გუნდში. და როს პოეტის გზას თვალს ვაკვლებთ, ვხედავთ, რომ მისი ადრეული წიგნებიდან — ესენია 1934 წელს გამოცემული პირველი კრებული, დიდი სამამულო ომის შემდგომ დაწერილი ციკლები „სამხრეთის სახღვარზე" და „ლენინი სამგორში", 1951 წელს სახელმწიფო პრემია რომ მიიღო, — იზრდება მისი ლექსის პოეტური გამომსახველობა, სახოვანი ძალა.

დიახ, **გრიგოლ აბაშიძემ** თავისებური ლირიკულ-ფილოსოფიური პოეზია შექმნა, თავის პოეტურ ქვეყანაში თამამად წარიტანა ყველაზე დიდი და ყველაზე სანუკვარი თემები. იგი თანამედროვე პოეტისაგან პირდაპირ მოითხოვს ლექს-განსჯას, პოეტურ ფიქრებსა და აზრებს. დაე, რაც სათქმელია, ითქვას ადამიანზეც და ცხოვრებაზეც, გულითადად და მართლად ითქვას. იგი პოეტს მიმართავს:

და, სულ ერთია,
დრო მაინც გარბის,
მიაქვს პასუხი ათასი კითხვის,
ნუ შეგშურდება დიდება ყალბი,
შენს სათქმელს ქვეყნად
ვერავინ იტყვის.

გრიგოლ აბაშიძის პოეზია აქტიური, მაძიებელი აზრით არის სავსე. მისი ფიქრი დასტრიალებს უძველეს პოეტს პუბლიუს ოვიდიუს ნაზონს, იმპერატორმა ავგუსტუსმა შავი ზღვის უდაბურ ნაპირებზე რომ გადასახლა, ან კაიროს ახლორე პირამიდებს, ანდა ძლევის ქედს, სად მტერი შედრკა დიდ სამამულო ომში. მისი ლექსების თემა ათასგვარია.

მასთან ერთად ბევრჯერ მოვლია საქართველოს მთასა და ბარში. იგი ჩინებული ამბნავია, ბუნების უტყუარი მეგობარი და მცოდნეა. მას შეუძლია თხრობით სული შთაბეროს წარსულს, ის ხომ საუკეთესო პროზაიკოსიც არის, ავტორია დიდი ისტორიული რომანებისა — „ლაშარელასი", „დიდი ლამისა" და „ცოტნესი", რომლებშიც მკითხველთა წინაშე დიდი ხნის წინათ გარდასული ეპოქების გაცოცხლებას ცდილობს. სამივე წიგნი XIII საუკუნის საქართველოს რეალისტურად მკაცრი ქრონიკაა და ასახავს მონგოლების პირველი შემოსევის ბნელ, სისხლიან დროს, რაც ქართული ფეოდალური სახელმწიფოს რღვევას დაემთხვევა.

გრიგოლ აბაშიძემ ბევრი იმოგზაურა დასავლეთსა და აღმოსავლეთში, მონაწილეობდა საერთაშორისო კონგრესებში, კონფერენციებში, შეხვედრებში. იგი ენერგიული საზოგადო მოღვაწეა, მშვიდობის საქმისათვის მებრძოლია. მისი ნაწარმოებები მრავალ ქვეყანაშია თარგმნილი და ცნობილი.

მე მიყვარს მოძმე საქართველოს ჩინებული პოეტი **გრიგოლ აბაშიძე**. მან დიდი, რთული ცხოვრება გამოიარა და შემოინახა მომავლის მშენებელი ადამიანის ნათელი რწმენა; შემოინახა შემოქმედებითი ენერგია და ვაყაცობა მწერლისა, რომელიც კვლავაც აყენებს დროის რთულ კითხვებს და მხატვარი-ფილოსოფოსის გულუშიშრობით უპასუხებს.

ვუსურვებ ჩემს მეგობარს ხანგრძლივ, მრავალჟამიერ სიცოცხლეს სიხარულისა და შთაგონებისათვის!

გულთბილი შეხვედრა

მშვიდობისმოყვარე ფორუმის დელეგატები თბილისში

თბილისში იმყოფება სენეგალის მშვიდობისათვის მებრძოლთა დელეგაცია, რომელიც მონაწილეობდა მოსკოვის მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო ფორუმში. დელეგაციას მეთაურობს სენეგალის მშვიდობის მოძრაობის გენერალური მდივნის მოადგილე მომარ დიობი.

ორი დღის მანძილზე სტუმრები ეცნობოდნენ საქართველოს დედაქალაქის ცხოვრებას, იყვნენ რესპუბლიკურ საავადმყოფოში, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში, დაათვალიერეს მუზეუმები, ქალაქის ღირსშესანიშნაობები.

23 იანვარს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკურ კომიტეტში გაიმართა სტუმრების შეხვედრა კომიტეტის აქტივთან.

მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ პოეტმა ი. ნონეშვილმა სტუმრებს გააცნო საქართველოს ისტორია და აწმყო. აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან **მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის** ურთიერთობის განმტკიცებისათვის ნაყოფიერ საქმიანობაზე ილაპარაკეს საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ მ. მგელაძემ, **მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის** თავმჯდომარის მოადგილეებმა ე. გუგუშვილმა და ლ. სადრაძემ.

სენეგალის **მშვიდობის** მოძრაობის გენერალური მდივნის მოადგილემ მომარ დიოპმა მადლობა გადაიხადა გულთბილი შეხვედრისათვის.

— მოსკოვის ფორუმმა, რომელიც **მშვიდობისმოყვარე** ძალების 1973 წლის მსოფლიო კონგრესის კეთილნაყოფიერ იდეებს ავითარებს, — აღნიშნა მან, — კვლავ დაადასტურა თან

ღიმილის ფასი

□ მოგითხრობთ მომსახურების სფეროს მოწინავე მუშაკებზე □ თავაზიანობა ამაღლებს ადამიანის ავტორიტეტს □ მკერავი ქალიშვილი გამოცდილებას უზიარებს ახალგაზდებს.

რა ღირს ღიმილი?

შეიძლება გაგიკვირდეთ — ფასი ღიმილს ვინ დაადო, მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, არც ასე ყოფილა საქმე.

ერთ ქუჩაზე ერთი მოზრდილი და მეორე მცირე სავაჭრო ობიექტებია. ორივეში სუფთა ჰყიდიან. მოზრდილი უფრო კეთილმოწყობილი და შემზიდველია, მეორე — შედარებით უფრული. რა თქმა უნდა, მომხმარებელს გარეგნული იერი იზიდავს და თქვენც პირველ ობიექტს მიაშურებთ. შიგ კაცის ჭაჭანება არ არის, დახლში ტლუ ბიჭი დგას, თეთრ ხალათში თავს უხერხულად გრძნობს.

— ამიწონე, ვეთაყვა, ერთი კილოგრამი ქაღალი, — მიმართავთ მას.

გამყიდველს ცივი თვალები აქვს, მოუქნელად აღებს მაცივრის კარს, ხასტად გამოაქვს ძეხვი, დონდლოდ ჭრის. გული გეკუმშებათ, რომ საკვებ პროდუქტს უხეში ხელები ეხება, რომელსაც უფრო შეეფერება მანქანის დეტალს ამზადებდეს, ტრაქტორს მართავდეს. სულ სხვაა ქალის ხელები — სუფთა, ნაზი...

გულნაკლული გამოდიხართ ობიექტიდან, მხოლოდ ახლა შეამჩნიეთ, რომ ძეხვი არე იყო შეხვეული, როგორც კვების პროდუქტებს შეეფერება. მიიჩქარით, მაგრამ რატომღაც შეჩერდით, შეჩერდით სწორედ იმ პატარა ობიექტის წინ, რომელიც თავისი გარეგნობით კაცს ვერ იზიდავს, თუმცა აქ ხალხი მაინც ირევა. დახლში ცბირუტვინთ ტრიალებს მოზღიმარი ქალი. ის ყველფერს ასწრებს — მომხმარებელთან გამოლაპარაკებას, პროდუქტის აწონვას, სათუთად შეხვევას, წარმოითდგინეთ, მოკითხვასაც კი.

— როგორ არის ჩემი კუდრაჭა? — მიმართავს ერთ მოწყენილ ქალს, — სიცხემ არ დაუკლო?

— დედა ენაცვალოს, რა ვქნა, არ ვიცი... — ქალს ძალაუნებურად თვალზე ცრემლი მოადგა.

— ნუ გეშინია, ბავშვია, ალბათ გრიპი მოეკრია... დაიცა, დაიცა, „დათუნას“ შეგირჩევ, ვემოს გაუსინჯავს თუ არა, უმალ წამოდგება — სხვებთან ბოდიშობს და ტაბლეულის სექციისაკენ გარბის.

არ ვიცი, ასეთი ღიმილი ავადმყოფს მართლა მოარჩენს თუ არა, მაგრამ რატომღაც გავიწყდებათ, რომ ძეხვი უკვე შეიძინეთ, არც აციებთან, არც აცხელებთ და რიგში დგებით, ღიმილიან გამყიდველს თვალს არ აცილებთ და ხელმეორედ ყიდულობთ ძეხვს, რომელიც არც ფერით, არც გემოთი და არც ხარისხით არ განსხვავდება ადრე შეძენილისაგან.

აი, რა ღირს ღიმილი...

სწორედ ასეთმა ღიმილმა გამახსენა ადამიანები, რომლებიც ერთმანეთს არც კი იცნობენ. ერთი მათგანი ქუთაისში ვაჭრობის სფერომი მუშაობს, ხოლო მეორე წყალტუბოში — საყოფაცხოვრებო მომსახურებაში. მათ ბევრი საერთო აქვთ... ვეძებ ამ „ბევრ საერთოს“ და უცებ ვპოულობ: წრფელი გული, ადამიანებისა და საქმის სიყვარული, ღიმილი, თავაზიანი ღიმილი.

ვენერა ქათამაძე ხელოსნის ოჯახში დაიბადა. საშუალო სასწავლებელი დაამთავრა. თუ არა...

— ჰო, მას შემდეგ ემუშაობ, — ამბობს იგი, — მგონი, რაც თავი მახსოვს, ემუშაობ, უმუშევრობა აბა როგორ შეიძლება!

ვენერა ერთხანს დუმს, რაღაცას იგონებს, მერე იღიმება და განაგრძობს:

— ოჯახური მდგომარეობის გამო სწავლა ვერ განვაგრძე, თბილისის რკინიგზის მუშათა მომზრაგების განყოფილებაში გავიარე ექვსთვიანი სავაჭრო კურსები... ემუშაობდი სხვადასხვა ადგილზე, ბოლოს მშობლიურ ქუთაისში დავბრუნდი, სასადილოების ტრესტში გამიშვეს. მეტუფეტედ. 1960 წლიდან ტრესტის მეორე გაერთიანების ნახევარფაბრიკატების მაღაზიაში ვარ გამყიდველად.

სასადილოების ტრესტის მეორე გაერთიანება ავტომშენებელთა დაბაშია მოთავსებული. იყო დრო, როცა მუშათა დასახლების სავაჭრო ობიექტებში საქმიანობას თავს არიდებდნენ.

— რატომ მაინც და მაინც ავტომშენებლებთან ირჩიეთ მუშობა? — გამომცდელად ვეკითხები ვენერას.

— არის ამაში ერთგვარი სიამაყის გრძნობა. რატომღაც მგონია და ეს ასეც არის — იმ დიდ სასახელო საქმეში — ქართული ავტომობილის წარმოებაში ჩემი წვლილიც ურევია.

ნახევარფაბრიკატების მაღაზია, სადაც ვენერა ქათამაძე მუშაობს, ერთ-ერთი მოწინავე ობიექტია სასადილოების ტრესტის სისტემაში, საჭონელბრუნვის დაკალებს ყოველთვის დიდი გაჭარბებით ასრულებს, მომხმარებლები კმაყოფილი არიან მომსახურების კულტურით.

— ჩემი ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე ბევრი ჯილდო დავიმსახურე, კომუნისტური შრომის დამკვრელი ვარ, მაგრამ ყველაზე მეტი ჯილდო ჩემთვის მუშის მადლობაა, — ამბობს ვენერა.

ნურც დალეოდეს ასეთი მადლობა დახლის მოწინავე მუშაკს.

• • •

...წყალტუბოს ცენტრში მოთავსებულ საყოფაცხოვრებო მომსახურების სასლში თითქმის ყოველთვის ხალხმრავლობაა, სწორედ ამ სახლმი მუშაობს დაკვეთებზე ქალის ტახსაცმლის მკერავი თამარ ტყაბლაძე.

საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, კოლმეურნეობის ბრიგადირის უმცროს გოგონას გულმა კერვის შესასწავლად გაუწია. არც შემცდარა, პროფესიის ქუთაისში დაეუფლა, 1969 წლიდან საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლში მუშაობს. მისი ნახელავი ყოველთვის გამოირჩევა მაღალი ხარისხით. ამიტომაც არის, რომ ის მუდამ დატვირთულია.

უკანასკნელ პერიოდში რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში (უფროსი გ. იოსელიანი) ბევრი სიახლე ინერგება. ახლახან აქ კიევველთა მაგალითისამებრ ფრიად საინტერესო ინიციატივა დაინერგა — „რიტმი“ და „დღეს დღეისათვის“, რაც აჩქარებს მომხმარებელთა დაკვეთების შესრულებას, ამაღლებს ხარისხს. თამარ ტყაბლაძე აქაც მოწინავეთა რიგებშია. ქალთა ბრიგადა, რომელშიც ათამდე მკერავია, სანმუშოდ ემსახურება მშრომელებს და ყოველდღიურ დავალებებს ორმაგად ასრულებს.

მკერავი ქალიშვილი თავის მდიდარ გამოცდილებას დაუშარებლად გადასცემს ახალბედებს. მან თავისი პროფესია შეასწავლა შუშანა შვანგირაძეს, ციალა ჯიქიას, როზა გასვიანს და სხვებს.

ნაყოფიერ შრომაში, მშრომელთა სამსახურში გადის დღეები.

დ. გედენიძე,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათებზე: თ. ტყაბლაძე (მარცხნივ), ვ. ქათამაძე.

ესტრადა

ჩვენი ცხოვრების თანამგზავრი

ბიძინა კვერნაძე,

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის საესტრადო მუსიკის სექციის თავმჯდომარე, კომპოზიტორი.

დღეს, 25 იანვარს, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ეროკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „75-“-ის გამოსვლით იწყება საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის საესტრადო მუსიკის პლენუმი. თვით ის ფაქტი, რომ თბილისის საკონცერტო დარბაზი ხუთი დღის მანძილზე დაკავებულია მსუბუქი ჟანრის შემსრულებლებს, ხოლო მათს ხელოვნებასა და ოსტატობას სამსაერთაშორისოდ გამოჩენილი სპეციალისტები გამოიკვლევენ, იმას მოწმობს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენში საესტრადო ხელოვნებას. აქვე მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა ტერმინ „მსუბუქი ჟანრის“ შესახებ. დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა შეხედულება, თითქოს მსუბუქი ჟანრი გარიყული იყოს საერთო, სერიოზული მუსიკალური სამყაროდან. ამ ჟანრს მსუბუქი იმიტომ ეწოდა, რომ იგი უნდა აღიქმებოდეს როგორც მსუბუქი, მისი შექმნა კი ისევე დიდ სულიერ წვდომას მოითხოვს, როგორსაც, საერთოდ, რომელიც გნებავთ ჟანრის ნაწარმოების დაბადება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აქ არსებობს კარგი და ცუდი ჟანრები, არის მხოლოდ კარგი და ცუდი მუსიკა.

ბოლო ოცი წელიწადი საქართველოს საესტრადო ხელოვნებისათვის დიდად უხვი და ბარაქიანი აღმოჩნდა. კომპოზიტორებმა და შემსრულებლებმა ძირითადად სწორი გზა აირჩიეს. საესტრადო ნაწარმოებები იქნებოდა ხალხური მდიდარი სასიმღერო ფოლკლორის საფუძველზე, სიმღერსრულებლო სტილი და ყაიდაც ეროვნული ინტონაციებით აღინიშნა. მაგრამ გასათვალისწინებელია ის ამბავი, რომ ესტრადა ძირითადად ახალგაზრდობის ასპარეზია. ამასთან ერთად ესტრადის მოყვარულნიც უმეტესად ახალგაზრდები არიან. ამიტომ გასაგებია, რომ ამ ჟანრში ხშირია ძიება, ხოლო ძიებას მოდამ თან ახლავს როგორც წარმატება, ისე წარუმატებლობა. როცა ლაპარაკია საშემსრულებლო ხელოვნებაზე, უეჭველად უნდა გაიხსენოთ, რომ მუსიკის შემსრულებლები, ინსტრუმენტალისტები და ძირითადად კი ვოკალისტები უფრო მეტად პროფესიულ ესტრადაზე თვითმქმედებიდან მოდიან. ეს ჯანრზომიერი პროცესია, თუმცა ახალ სარბიელზე თვითმქმედების კრიტერიუმები არ გამოდგება. ამიტომ არის, რომ ხანდახან პროფესიულ ესტრადაზე თვითმქმედების საღებავებით შეფერილ სურათსაც შეხვდებით.

უკვე ვთქვით, რომ ესტრადა ძირითადად ახალგაზრდობის უპირატესობით აღინიშნება. ახალგაზრდობა კი ჩვენი მომავალია. ჩვენი საესტრადო მუსიკის პლენუმი ღირსშესანიშნავ დროს ტარდება. სულ ახლახან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „შემოქმედებითს ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“. ეს მრავალისმთქმელი და დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი ცხადყოფს, რომ შემოქმედებითი ახალგაზრდობისათვის ზრუნვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ხელოვნების ახალგაზრდა მუშაკებთან მთელ მუშაობას, ხაზგასმულია დადგენილებაში, საფუძვლად უნდა ედოს ის, რომ მათდამი გულისხმიერი, პატივისმცემელი დამოკიდებულება ეხამბოლი იყოს მომთხოვნელობასა და პრინციპულობასთან. უნდა შევისწავლოთ ახალგაზრდობის პრობლემები და საჭიროებები, დავეხმაროთ მას თვისი ნიჭის გამოვლინებაში, წარვმართოთ ტალანტების განვითარება პერსპექტიული შემოქმედებითი გზით, დროზეადაგ განვამტკიცოთ და გავამაჯადოვეროვნოთ ცხოვრებისა და ახალგაზრდა ხელოვანი ინტელიგენციის კავშირი.

პლენუმში მონაწილეობას მიიღებენ სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის ეროკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები, ანსამბლი „75“ და ანსამბლი „67“, სახელმწიფო საესტრადო ორკესტრი „რერო“ და ანსამბლი „ორერა“, საავტორო გამოსვლა ექნებათ კომპოზიტორებს გ. ცაბაძეს, შ. მილორავას, ლ. თაქვილს, ვ. აზარაშვილს, ნ. გაბუნიას, ნ. გიგაურს, ლ. შავერზაშვილს, ა. რაქვიაშვილს, მ. დიაკონიშვილს.

კონცერტების მთელი ციკლის დამთავრების შემდეგ გაიმართება სხა-ბაასი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მუსიკისმცოდნენი, კომპოზიტორები. ლაპარაკი გვექნება ჩვენი საესტრადო ხელოვნების სადღეისო პრობლემებზე, იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ჩვენს ესტრადას მომავალ სრულყოფაში დაეხმარება.

ავინდი

დღეს აფხაზეთში მშრალი ამინდია მოსალოდნელი. იქროლებს დასავლეთის ქარი, ტემპერატურა 3-8 გრადუსი სითბო. აჭარაშიც მშრალი ამინდი იქნება. იქროლებს სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა 5-10 გრადუსი სითბო.

სამხრეთ ოსეთში, ქართლში მოსალოდნელია სუსტი ქარი, ტემპერატურა 3 გრადუსი ყინვა — 2 გრადუსი სითბო, ბორჯომის ხეობაში მშრალი ამინდი იქნება, ტემპერატურა 1-6 გრადუსი ყინვა, კახეთში, შირაქისა და ელდარის ზამთრის საძოვრებზე მცირე თოვლი და ნისლია მოსალოდნელი, ტემპერატურა 2 გრადუსი სითბო — 3 გრადუსი ყინვა.

თბილისში მოსალოდნელია უმნიშვნელო თოვლი, ნისლი, სუსტი ქარი, ტემპერატურა ნული — ორი გრადუსი სითბო.

ეპიეოზა აუვაკვდა

ნელს ჭირვეული ზამთარია, შედარებით თბილი დეკემბერი აღმოსავლეთ საქართველოში უხვი თოვლობით შეიცვალა, იანვარში თერმომეტრი იშვიათად თუ აიწევს ნულოვანი ნიშნულის მაღლა. აჭარის მცხოვრებნი კი, რომლებიც წლის დამდეგს გაჭიანურებულ წვიმებს არიან შეჩვეულნი, უკვე რამდენიმე დღის შემდეგ ტკბებოდნენ ალერსიანი მზით, ბათუმის, ქობულეთის, ციხისძირის, მწვანე კონცხისა და ავტონომიური რესპუბლიკის სხვა კურორტების ბაღებსა და პარკებში აყვავდა ყვავილები და ბუჩქნარები.

ეს სურათი გადაღებულია ხელვაჩაურის რაიონში. ზამთრის ხაგამოცდო სეხია წარმატებით რომ დაამთავრა, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი მანანა ნიჟარაძე მშობლიურ სოფელში ჩამოვიდა, სადაც ყვითლად გადაპენტილა მიმოზა.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ლიდერია „დინამო“

საკავშირო ტურნირი მინი-ფეხბურთში

ვფიქრობთ, ახლა უკვე ეჭვს აღარ იწვევს მინი-ფეხბურთის „ყოფნა არ ყოფნის“ საკითხი. ამ საინტერესო თამაშის სასარგებლოდ ლაკონურად მეტყველებენ თუნდაც სპორტის სასახლეების მაყურებლით სავსე ტრიბუნები. ასე იყო გუშინ და გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეშიც, სადაც სტარტი აიღო ტრადიციულმა საკავშირო ტურნირმა. მინი-ფეხბურთელთა შეჯიბრებები ჩვენი ქვეყნის ქალაქებში წელსაც ყოველკვირეულ „ნედელიას“ ეგიდით მიმდინარეობს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გამარჯვებულნი ახლა არ შეიკრიბებიან მოსკოვში ფინალურ ასპარეზობაზე.

ძალზე ემოციურმა, ტემპერამენტულმა და მაღალტემპიანმა თამაშმა ბევრი სასიამოვნო წუთები განგვაცდევინა.

სასპარეზოდ პირველად ერევნის „არარატის“ გუნდები გამოვიდნენ. ტორპედოელებმა (ისინი ამ ტურნირზე ახალგაზრდული შემადგენლობით ჩამოვიდნენ) გაჩსნეს ანგარიში (ბურთი გორგაძემ გაიტანა), მაგრამ შემდეგ ერევნელებმა ექვსჯერ აიღეს მეტოქის კარი და საკავშირო კატეგორიის არბიტრმა, სოხუმელმა ა. მილჩენკომ მათი დამაჯერებელი მოგება აღნიშნა — 6:1 (3:1).

გაცილებით საინტერესო გამოდგა თბილისის „დინამოსა“ და უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული ბაქოს „ნეფტჩის“ მატჩი. სტუმრებმა, რომლებსაც ახლა ცნობილი ფეხბურთელი გ. ბოხდარენკო ავარკიშებს, თბილისში თავიანთი ძირითადი შემადგენლობა ჩამოიყვანეს — სმოლნეკოვი, კრამარენკო, რახმანოვი, ჯავადოვი, პიროველი ლიგის მარშანდელი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ე. აბასოვი და სხვ. დინამოელები ტურნირზე სათადარიგო შემადგენლობით გამოდიან — წვარეთელი, გ. მაჩაიძე, დვალიშვილი, ჭილაია, ძებისაშვილი, მინაშვილი, მუმლაძე, ბაზაზაშვილი, მჭედლიძე და სხვ.

მე-11 წუთზე გუნდის კაპიტანმა წვარეთელმა მარცხენა ფლანგიდან მძლავრი დარტყმით გახსნა ანგარიში. ერთი წუთის შემდეგ მანვე უკვე მარჯვნიდან პორიდ შეარხია სტუმრების კარის ბადე. შესვენებამდე ექვსი წუთით ადრე უზბეკოვმა გაქვითა ერთი ბურთი, მაგრამ მეორე ტაიმში (მე-5 წუთზე) ისევ წვარეთელმა შორიდან მესამედ მაღწია წარმატებას — 3:1 აღსანიშნავია, რომ წვარეთელი საუკეთესო სნაიპერი იყო თბილისს წინა წლის ტურნირში. ამ საინტერესო ორთაბრძოლას წარტილი სმოლნიკოვის ზუსტმა დარტყმამ დაუსვა — 3:2 დინამოელთა სასარგებლოდ.

გუშინ სპორტის სასახლის სარბიელზე მორიგი ორი მატჩი გაიმართა: „ტორპედო“ შეხვედა „ნეფტჩის“, ხოლო „დინამო“ — „არარატს“.

ქუთაისელები კვლავ დამარცხდნენ დიდი ანგარიშით 1:6 (0:1).

„დინამოსა“ და „არარატის“ მატჩი თითქოს ფრედ მთავრდებოდა — 3:3 (პირველი ნახევარი მოიგეს სტუმრებმა — 2:1), მაგრამ როდესაც ფინალურ საუკეთესოდ თითქმის ალარაფერი რჩებოდა, ერევნელმა მირზოიანმა უძლიერესი დარტყმით ბურთი... საკუთარ კარში გაგზავნა. დინამოელებმა მოიგეს მატჩი 4:3 და სათავეში ჩაუდგნენ ტურნირს, ბომბარდირთა დავაში კი 5 ბურთით დაწინაურდა ზ. წერეთელი, რომელმაც გუშინ კიდევ ორი გოლი გაიტანა.

დღეს შეჯიბრების უკანასკნელი ორთაბრძოლები გაიმართება: „არარატი“ — „ნეფტჩი“ და „დინამო“ — „ტორპედო“.

ო. ნოზაძე.

ნაკრების ოთხი გოლი

რომი, 24 იანვარი. (საკდესი) სსრ კავშირის ნაკრების ფეხბურთელებმა, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისათვის ემზადებიან, ქალაქ პერუჯაში ამხანაგური მატჩი გამართეს იტალიის პირველი ლიგის კლუბთან „პერუჯასთან“ და გიმარჯვეს ანგარიშით 4:0 (1:0). ბურთები გაიტანეს ბლოხინმა, ბურიაკმა, კონკოვმა და კოლტოვმა.

ჭადრაკი

ლონ-პაინში

მარტში მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი და დიდოსტატი ბალაშოვი მონაწილეობას მიიღებენ დიდ ასპარეზობაში, რომელიც ლონ-პაინში (აშშ) ტარდება.

ლონ-პაინი პატარა საკურორტო ქალაქია (სულ 1.500 მცხოვრები) კალიფორნიაში. უკვე მესამე წელია აქ დიდი საერთაშორისო ტურნირები ეწყობა მრავალი ამერიკელი და უცხოელი დიდოსტატის მონაწილეობით. 1975 წელს, მაგალითად, ლონ-პაინში თამაშობდა 22 (!) დიდოსტატი. ძალზე ძლიერი შემადგენლობა იყო შარმანაც, როდესაც შეჯიბრება გაიმართა შვეიცარიული სისტემით — 7 ტურად. საბჭოთა კავშირიდან ამ შეჯიბრებაში გამოდიოდნენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონები პეტროსიანი და სმისლოვი, პირველი ადგილი პეტროსიანმა დაიკავა, სმისლოვმა კი მეორე-მერვე ადგილები გაიყო.

წლეულს შეჯიბრება ისევ შვეიცარიული სისტემით ტარდება, ოღონდ ტურების რაოდენობა ცხრამდე გაიზარდა, რაც ბრძოლას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის.

მონაწილეთა შემადგენლობა მოგვიანებით გახდება ცნობილი.

სვალ ალმა-ათაში

სვალ ალმა-ათაში იწყება საბჭოთა კავშირის ტრადიციული საჭადრაკო ჩემპიონატი ახალგაზრდა ოსტატებს შორის.

ჩემპიონატში 16 კაცი მონაწილეობს, მათ შორის დიდოსტატი მაკარიჩევი (მოსკოვი), მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ჭაბუკებს შორის, საერთაშორისო ოსტატი ჩეხოვი (მოსკოვი), ევროპის ყოფილი ჩემპიონი ჭაბუკებს შორის, საერთაშორისო ოსტატი კოჩიევი (ლენინგრადი) და სხვები. ალმა-ათიდან გამოვა ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატის ამასწინანდელი მონაწილე ოსტატი ვლადიმიროვი.

თბილისიდან ბრძოლაში ჩაებმებიან ოსტატები ზაიჩიკი და სტურუა.

პელეს გოლი მაცდური

პარიზი. საკდესი. „მე საბოლოოდ გადავწყვიტე სპორტული კარიერა 1977 წლის ბოლოს დავასრულო, რადგანაც ფეხბურთს უკვე 22 წელია ვთამაშობ და ახლა მოსვენება მჭირდება“, — განაცხადა ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში „ფეხბურთის მეფემ“, 37 წლის პელემ. ბრაზილიელი ფეხბურთელი, რომელიც ამჟამად ნიუ-იორკის „კოსმოსში“ თამაშობს, პარიზში ჩამოვიდა, რათა დაესწროს ახალი ფილმის — „იცნობ თუ არა შენ პელეს?“ — დემონსტრაციას. ეს ფილმი, რომელიც გადაიღო ცნობილმა ფრანგმა კინორეჟისორმა ფრანსუა რაიპენბახმა, მსოფლიოს უკრანეზე სამი თვის შემდეგ გამოვა. მასში მოთხრობილია პელეს შესახებ — დაბადებიდან დღევანდლამდე.

„1977 წელს „კოსმოსი“ ითამაშებს ხუთ კონტინენტზე, — განაცხადა პელემ. — ჩემთვის კი ეს კარგი შემთხვევა იქნება გამოვეთხოვო ფეხბურთს“.

ამოკლედ

კალათბურთი. ლენინგრადში გაიმართა ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი ადგილობრივ „სპარტაკსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის. ანგარიშით 84:79 (51:46) გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა. დინამოელთა თავდამსხმელმა, 17 წლის ნ. დერიუგინმა თავის გუნდს ამ დღეს 34 ქულა მოუტანა. შეჯიბრების ლიდერმა ცსკა-მ ანგარიშით 95:68 სძლია ტარტუს „კალევს“, ვლადივოსტოკის „სპარტაკმა“ მოუგო კიევის „სტროიტელს“ — 95:93.

გურთიანი ჰოკეი. მსოფლიოს მორიგმა, მეათე ჩემპიონატმა სტარტი აიღო ნორვეგიაში. პირველ მატჩში წარუმატებლად გამოვიდა ცხრაგზის მსოფლიოს ჩემპიონი სსრ კავშირის ნაკრები (უფროსი მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ტროფიმოვი), რომელმაც წააგო შვეიცის ნაკრებთან — 2:3. ფინეთის გუნდმა მოუგო ნორვეგიელებს — 5:1.

ᲙᲐᲠᲚᲝ ᲛᲝᲠᲔᲢᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გარდაიცვალა გამოჩენილი მშენებელი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი, სკკპ წევრი 1920 წლიდან კარლო ვლადიმერის-ძე მორეტი.

კარლო მორეტი დაიბადა ქ. თბილისში 1899 წელს მარმარილოსა და მოზაიკის ოსტატის ოჯახში, რომელიც იტალიიდან ჩამოვიდა თბილისში სამუშაოდ. შრომითი საქმიანობა მან 15 წლის ასაკში დაიწყო თბილისის ხიმშენებლო ობიექტებზე, ამასთან აწავლობდა სამხატვრო სასწავლებელში, სადაც ეუფლებოდა ხატვისა და სკულპტურის ხელოვნებას პროფესორების ი. ნიკოლაძის, ო. შმერლინგის, ტ. გრინევსკის და სხვათა ხელმძღვანელობით.

მეშვიდეკების ბატონობის წლებში, როცა ქალაქში მშენებლობები შეწყდა, 1919 წლიდან კარლო მორეტიმ მუშაობა დაიწყო სტამბაში, სადაც გაეცნო და დაუახლოვდა ბოლშევიკ-პოლიგრაფისტებს ს. იაშვილს, ვ. ბოლქვაძეს და სხვებს. ამ წლებშივე იგი შევიდა არალეგალურ პარტიულ ჯგუფში, ასრულებდა სხვადასხვა დავალებებს და 1920 წლიდან ბოლშევიკების პარტიის რიგებშია.

ამავე წლებში კარლო მორეტი დაეპატიმრა მენშევიკების მთავრობამ და ქუთაისის ციხეში მოათავსა ექვსკვირეულ ბოლშევიკური მოღვაწეობისათვის. 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე განთავისუფლებულ იქნა ციხიდან და იმავე წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბის მმართველად დანიშნეს. 1922 წლის მარტიდან კარლო მორეტი პარტიული მობილიზაციით გაიგზავნა წითელ არმიაში, სადაც მუშაობდა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი არმიის ტიპოლოგრაფიის უფროსად. დემობილიზაციის შემდეგ დაინიშნა გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ დირექტორად. 1933 წლიდან შეთავსებით იყო თბილისში მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობის მშენებლობის უფროსი.

1937 წლიდან ხელმძღვანელობდა ტრესტ „საქკურორტმშენს“, ხოლო 1938 წლიდან დაინიშნა „თბილმშენის“ ტრესტის მმართველად. 1950-ში ქ. მოსკოვში ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს სანატორიუმ „ტყიბულის“ მშენებლობის უფროსად, შემდგომ წლებში კი საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროს ტრესტ „საქპროდუქტმშენის“, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 სამშენებლო ტრესტის და მთავარმიმართველობის „შუნტის“ ტრესტ „სპეცმშენის“ თანამდებობებზეა.

1974 წლის 1 ოქტომბრიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ზ. ფილიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის შენობის აღდგენითს და სარეკონსტრუქციო სამუშაოზე იკო, როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს ტექზედამხედველობის ჯგუფის მთავარი ინჟინერი. მისი ხელმძღვანელობით და აქტიური მონაწილეობით აშენდა ისეთი მსხვილი სამშენებლო ობიექტები, როგორიც არის მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის, სახელმწიფო ცირკის, მუზეუმის, კინოთეატრის შენობები, სასტუმრო ქ. გორში, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის შენობა, ფუნიკულორის შენობა, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა და მრავალი სხვა.

კარლო მორეტი სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრად, საქართველოს კომუნისტური პარტიის ქ. თბილისის და ქუთაისის საქალაქო კომიტეტების წევრად, პარტიის თბილისის ორჯონიკიძის და 26 კომისრის სახელობის რაიკომების წევრად, პარტიის წყალტუბოს რაიკომის წევრად და ა. შ. იგი არაერთგზის იყო არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის კარლო მორეტი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, სამი შრომის წითელი დროშის ორდენით, ორი „სპატენინიშნის“ ორდენით, მრავალი მედლითა და სპატიო სიგელით.

თვალსაჩინო ხელოვანისა და მშენებლის, უანგარო მუშაკის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ყველას გულში, ვინც კი მას იცნობდა.

საქართველოს სსრ სახმშენი, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი.

მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი, საქართველოს სსრ სახმშენი, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1977 წლის 21 იანვარს 77 წლის ასაკში გარდაცვალა გამოჩენილი მშენებელი, სკკპ წევრი 1920 წლიდან, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, პერსონალური პენსიონერი

კარლო ვლადიმერის-ძე მორეტი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. დაკრძალვა 25 I 4 ს. საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

25 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — მხატვრული ფილმი „ლაზარე“ ფერადი გამოსახულებით, 17.50 — მუტლიპლიკაციური ფილმი, 18.15 — განცხადებები, 18.20 — მოსწავლეთათვის — ინგლისური ენა, 18.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „წარუმატებლობა თუ წარმატება“ (ქართულ ენაზე), 19.10 — „სოფელი, რომელზედაც წერდა ლენინი — „საკრაულა“, 19.35 — „სპორტული მიმოხილვა“, 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — თოჯინური ფილმი — „შეჯიბრი“ (ფერადი გამოსახულებით), 20.45 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ჭირურგ მიშკინის დღეები“ (I სერია), პრემიერა ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — კონცერტი — ფერადი გამოსახულებით, 23.10 — ტურნირი — მინი-ფეხბურთში „დინამო“ (თბილისი — „ტორპედო“ (ქუთაისი) — ვიდეოჩანაწერი.

მეორე პროგრამით

18.05 — სატელევიზიო სპექტაკლი „მტრები“ (II ნაწილი), 19.15 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 20.00 — განცხადებები, 20.05 — მხატვრული ფილმი „ქალაქშვილები დედები“.

26 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამით

06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 08.32 — კამერული მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს საესტრადო ორკესტრის კონცერტი, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ჩაიკოვსკი — კამერული სიმფონია, 11.45 — „პარტიული ცხოვრება“ — საუბარი „კომუნისტების განამტკიცებენ დისციპლინას“, 13.15 — ამ